

უილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი

კახა ლლონტი

„ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ და ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება

ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული. მეც მინდა გამოვთქვა ჩემი განსხვავებული მოსაზრება.

პატ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით: „დამწერლობის განვითარებას კაცობრიობის ისტორიაში სამი მთავარი საფეხური ჰქონია: 1. იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობა. 2. ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა. 3. ბგერითი, ანბანური დამწერლობა. მარცვლოვან დამწერლობათა შორის განთქმული ყოფილა ე. წ. ლურსმული დამწერლობა, რომელშიაც მარცვლების გამომხატველი ნიშნებისათვის ლურსმის მსგავსი ხაზების ჯგუფები იხმარებოდა. თავდაპირველად იქაც, სადაც ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა განსაკუთრებით იყო მიღებული, მას ხატოვანი დამწერლობა უძლოდა წინ და ხაზოვანი დამწერლობა მხოლოდ ხატოვანის სქემატურად გამარტივებულ განვითარებას წარმოადგენს...“ (ჯავახიშვილი 1949: 4-5).

ჩვენი აზრით, ეს სამივე საფეხური შენარჩუნებულია ქართულ ასომთავრულ ანბანში. როგორ შეიქმნა ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც-ის გრაფიკული ელემენტები: დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი? ც ასო-ნიშნის დიდი რკალი მთვარის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნია (რ. პატარიძე). მას განვითარება არ განუცდია. ხოლო ც ასო-ნიშნის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი „ან“ შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ხაზოვანი განვითარებაა, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკაში ც ასო-ნიშნის ლურსმულ ხაზოვან ნიშნად იქცა. ეს ხაზოვანი ნიშანი დარჩა იმ იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნიდან, რომელიც წარმოდგენილი იყო პორიზონტალური და ვერტიკალური სოლისებური ნიშნების კომბინირებით, რომელიც შუმერულ ლურსმულ დამწერლობაში გამოხატავდა ცას და ღმერთს.

რადგანაც, შუმერები ღმერთს „ან“-ს უწოდებდნენ ეს იდეოგრაფიული ნიშანი „ან“ შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიულ, ხატოვან ნიშნად დარჩა (რ. პატარიძე). დროთა განმავლობაში „ან“ შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიულ, ხატოვან ნიშანს ჩამოშორდა ვერტიკალური სოლისებური ნიშანი და დარჩა მხოლოდ პორიზონტალური სოლისებური ნიშანი, რომელიც ლურსმული დამწერლობის ხაზოვან ნიშნად გადაიქცა.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს პორიზონტალური სოლისებური ნიშანია წარმოდგენილი ქართულ ასომთავრულ ანბანში ც ასო-ნიშნის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზის სახით. მოხდა ამ ხაზოვანი ნიშნის კომბინირება „სინ“ ბაბილონური (შუმერული) მთვარის ღმერთის იდეოგრაფიულ, ხატოვან ნიშანთან (ც ასო-ნიშნის დიდი რკალი). მიღებულ ახალ გრაფემას ეწოდა „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის სახელდება. „ან“ შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნიდან წარმოქმნილი ლურსმული ხაზოვანი ნიშნები დაედო საფუძვლად ქართული ასომთავრული ანბანის ყოველი გრაფემის პორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებს. ასევე, „სინ“ ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნიდან წარმოქმნილი რკალები და წრეები დაედო საფუძვლად ასომთავრული ანბანის ყოველი გრაფემის რკალებს და წრეებს. ასევე, „ან“ შუმერული ცის ღმერთის სახელდებიდან წარმოქმნილი ან, ენ, ინ და ონ მარცვლები დაედო საფუძვლად ასომთავრული

ანბანის ოცდაერთი ასო-ნიშნის სახელდებას. აქედან გამომდინარე, ქართული ასომთავრული ანბანური დამწერლობა შუმერული ხაზოვან-მარცვლოვანი (იდეოგრაფიული, ხატოვანი) დამწერლობის გამარტივებული განვითარებაა.

მკვლევარი ი. ქაფიაშვილის მოსაზრებით: „...უკანასკნელ ხანებში ქართული ანბანი შესწავლილ იქნა, როგორც ერთიანი გრაფიკული სისტემა და გამოვლინდა სტრუქტურული საფუძვლები (ელექტ მაჭავარიანი, თამაზ ჩენკელი). ამგვარი კვლევა-ძიების განზოგადება წარმოდგენილია ე. მაჭავარიანის მონოგრაფიაში „ქართული ანბანის გრაფიკული საფუძვლები“. მკვლევარის დასკვნით, ქართული ანბანი როგორც სტილისტურად ერთიანი გრაფიკული სისტემა ერთბაშად, ერთდროულად არის შექმნილი. აქ პირველადი არის სწორედ გრაფიკა და ასოთა მოხაზულობების შექმნა, ხოლო ასოთა სახელდება და შემდეგ მათი ანბანის რიგზე გაწყობა მეორადია. ქართული ასომთავრულის გრაფიკული სტრუქტურის მაწარმოებელი ძირითადი ელემენტებია მარტივი გეომეტრიული ელემენტები – წრე და სწორი ხაზი, რომლებიც ასოებს ქმნიან მათგანვე წარმოებული ნაწილების მეშვეობით და თითოეული ასო თავსდება კვადრატის ფარგლებში...“ (ქაფიაშვილი 1992: 21).

უნდა დავვთანხმოთ პატივცემულ მკვლევარს, რომ ქართული ასომთავრული ანბანი მართლაც ერთიანი გრაფიკული სისტემაა, რომელიც ერთბაშად და ერთდროულად არის შექმნილი. აქ პირველადი გრაფიკული მოხაზულობაა, რომლის შექმნის პარალელურადაც იქმნებოდა ამ გრაფიკების შესაბამისი სახელდება, ასო-ნიშნებს ენიჭებოდათ რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

მკვლევარ ე. მაჭავარიანის მოსაზრებით: „...ასომთავრულის გრაფიკულ სისტემაში 9 ელემენტი მოქმედებს, რომელთა შორის დიდი წრე და დიდი ხაზი მთავარი, განმსაზღვრელი ელემენტებია: ისინი გრაფიკის ყველა შემადგენელ ელემენტს შეიცავს, ხოლო დანარჩენი კი მათგან წარმოებულია (რკალი აქ განიხილება როგორც წრის ნაწილი)...“ (მაჭავარიანი 1983: 12).

ჩვენი აზრით, ქართულ ასომთავრულ ანბანში ძირითად, განმსაზღვრელ ელემენტებს ასომთავრული ანბანის ც გრაფიკის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ ქართულ ანბანში პირიქით, წრე უნდა განიხილებოდეს რკალის ნაწილად (ე. მაჭავარიანი). თუ ქართული ანბანის გრაფიკულ ელემენტებს დავშელით შესაბამის ნაწილებად, დავინახავთ რომ, ჩვენს წინაშე წარმოსდგება ერთიანი გრაფიკული სისტემა, რომლის ყოველი გრაფიკა შესდგება რკალებისა (წრეები) და ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზებისაგან (ე. მაჭავარიანი). ამ ერთიანი გრაფიკული სისტემის სათავეში დგას ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშანი – ც („ანი“). იქმნება აზრი, რომ სწორედ „ან“ ასო-ნიშნის გრაფიკული ელემენტები: დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი წარმოადგენს იმ გრაფიკულ წყაროს, რომლისგანაც ნასაზრდოები ამ ორი ელემენტის კომბინირებით იქმნება ანბანის ყველა სხვა გრაფიკის გრაფიკული ნიშნები: რკალები (წრეები) და ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზები.

ანალოგიური მოსაზრება ასომთავრული ანბანის სახელდებასთან დაკავშირებით გამოიქმული აქვს აკად ი. ჯავახიშვილს, რომლის აზრითაც, სწორედ „ან“ ასო-ნიშნის სახელდებიდან წარმოსდგება ქართული სომთავრული ანბანის 21 ასო-ნიშნის სახელდება (ი. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია).

მკვლევარ თ. გამყრელიდის მოსაზრებით: „...თუ ჩვენ ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკებს განვიხილავთ როგორც გეომეტრიულ ფიგურებს, რომლებიც მოიხაზება ფარგლისა და სახაზავის საშუალებით, აუცილებელი და საკმარისია მათ საწყის გრაფიკულ ელემენტებად ორი კომპონენტი ვივარაუდოთ: სწორი ხაზი და ნახევარწრეხაზი, რომლებიც კომბინირებენ ერთმანეთთან ერთი კვადრატული უჯრედის ფარგლებში და

გარკვეულ კონფიგურაციებს ქმნიან. ასეთი კვადრატული უჯრედი ერთგვარი უხილავი ჩარჩოა, რომლის ფარგლებშიც და რომლის პროპორციების მიხედვით გამოიყვანება ასომთავრული დამწერლობის თითოეული გრაფემა...“ (გამყრელიძე 1990: 159-160).

ასევე, თ. გამყრელიძის აზრით, მეცნიერი ე. ბედერი: „...ქართული მრგვლოვანი ანბანის გრაფიკებს სხვადასხვა „მდებარეობაში“ წარმოდგენილი მარტივი ხაზისა და ნახევარწრეხაზის: ერთ კვადრატულ უჯრედში მოთავსებულ კომბინაციად განიხილავს. ნიშანთა კონსტრუირების გარკვეული წესების ფორმულირებით მიიღება ძველი ქართული მრგვლოვანი დამწერლობის ყველა გრაფიკული სიმბოლო...“ (გამყრელიძე 1990: 159).

მკვლევარები თ. გამყრელიძე და ე. ბედერი თავიანთ შრომებში მართებულად ასახელებენ იმ ორ გრაფიკულ ელემენტს, რომლებიც მათი აზრით, გამხდარა საფუძველი ქართული ასომთავრული ანბანის ყველა გრაფიმის წარმოსაქმნელად. ეს გრაფიკული ელემენტებია: სწორი ხაზი და ნახევარწრეხაზი (რკალი). მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ მკვლევარებს მხედველობიდან გამორჩათ ამ გრაფიკული ელემენტების წარმომშობი პირველწყარო, ანუ ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც გრაფიმის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი, როგორც ამ ერთიანი გრაფიკული სისტემის უმთავრესი გრაფიკული საფუძველი.

მკვლევარ რ. პატარიძის მოსაზრებით: „...შესაძლოა კი „სინ“ - მთვარის ღმერთი „ან“ - ცის ღმერთად იწოდებოდეს? როგორც ჩანს, შესაძლოა და ეს მართლაც ასეა: „სინ“ - მთვარის ღმერთს მიემართება სახელი „ან“, სახელი ცის ღმერთისა. ქართულ ასომთავრულ ანბანში, ჩანს, ასახულია „ან“ - ცის ღმერთის ასიმილაციისა და „ან“ - ცის ღმერთისა და „სინ“ - მთვარის ღმერთის სინკრეტიზმის საბოლოო აქტი...“ (პატარიძე 1980: 97).

პატარიცემული მკვლევარი ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ წყაროდ ფინიკიურ დამწერლობას (ი. ჯავახიშვილი) მიიჩნევს და ფინიკიური ანბანის ბოლოსწინა „სინ“ ასო-ნიშნის სახელდებას ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშნის სახელდებას უკავშირებს. ასევე, მკვლევარის მოსაზრებით, ფინიკიური ანბანის პირველი ასო-ნიშნის „ალეფ“-ის სახელდება ქართული ასომთავრული ანბანის ოცდამეოთხმეტე „ხარ“ ასო-ნიშნის სახელდებას უკავშირდება (პატარიძე 1980: 94). ხოლო, როგორც მკვლევარი მიიჩნევს: „...ქართული ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემა შექმნილია ფინიკიური პირველი ასო-ნიშნის გრაფემის საფუძველზე...“ (პატარიძე 1980: 177).

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ შუმერული „ან“ ცის ღმერთისა და ბაბილონური (შუმერული) „სინ“ მთვარის ღმერთის სინკრეტიზმის, შერწყმის პროცესი უპირველეს ყოვლისა ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც გრაფემის გრაფიკულ მოხაზულობასა და სახელდებაში აისახა, ხოლო აქედან, მთელი ანბანის გრაფიკულ მოხაზულობასა და სახელდებაში გადავიდა. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია ფინიკიური ანბანური დამწერლობის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რომელთაც ჩვენი აზრით, არაფერი აქვთ საერთო ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ ნიშნებსა და სახელდებასთან.

ქართული ანბანის გრაფიკულ წყაროს შუმერული ლურსმული კუთხოვანი დამწერლობა წარმოადგენს (თ. ბაგრატიონი). ვფიქრობთ, რომ სწორედ შუმერული ლურსმული დამწერლობა უნდა იყოს ის კუთხოვანი დამწერლობა, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ქართული მრგვლოვანი დამწერლობის შესაძლო პირველწყაროდ ვარაუდობდა.

ჩვენი აზრით, ვერც ფინიკიური დამწერლობის (ჯავახიშვილი, პატარიძე) და ვერც ბერძნული დამწერლობის (კუკელიძე, შანიძე, გამყრელიძე) დასახელება ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ წყაროდ, რეალურად ვერ წყვეტავს

ქართული ანბანის წარმოშობის პრობლემას. ყველაზე მართებულად მიგვაჩნია ქართველი მეცნიერის თ. ბაგრატიონის მოსაზრება, რომელსაც ქართული დამწერლობა ქალდეველთა (შუმერები) დამწერლობის საფუძველზე შექმნილად მიაჩნდა (გ. შარაძე).

ჩვენი აზრით, თ. ბაგრატიონი სწორედ შუმერულ ლურსმულ დამწერლობას გულისხმობდა ქართული მრგვლოვანი (ხუცური) დამწერლობის საფუძვლად. ვფიქრობთ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ხაზი და დიდი რკალი შუმერული ლურსმული ხაზოვანი ნიშნისა და იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის შეერთებითაა მიღებული. გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანს როგორც ერთიან გრაფიკულ სისტემას რეალურად არსებული ორი გრაფიკული წყარო გაჩნია: 1. შუმერული (ქალდეური თ. ბაგრატიონი) ლურსმული იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობისგან განვითარებული ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა და ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი („ან“ (ილ) შუმერული ცის დმერთის ლურსმული ხაზოვანი ნიშანი) და დიდი რკალი („სინ“ ბაბილონური (შუმერული) მთვარის დმერთის იდეოგრაფიული ხატოვანი ნიშანი). ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთივე პრინციპითაა შედგენილი ქართული ასომთავრული ანბანის ყოველი ახალი გრაფემა ანუ ქართული დამწერლობის, როგორც ერთიანი გრაფიკული სისტემის მთელი გრაფიკული მოხაზულობა.

გვინდა, პატივცემული მკითხველის წინაშე წარმოვადგინოთ სქემა, რომლის მიხედვითაც, ჩვენი აზრით, შექმნილი და ნაწარმოებია ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

აი ეს სქემა:

1. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი ნაწარმოებია „ან“ (ილ) შუმერული ცის დმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ლურსმული ხაზოვანი ნიშნისა (დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი) და „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის დმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის (დიდი რკალი) კომბინირებით. მიღებულ ც გრაფემას ეწოდა „ან“ (ილ) შუმერული ცის დმერთის („ან“ ასო-ნიშანი) სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

2. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ყ გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ქვედა პორიზონტალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ყ გრაფემის საშუალო წრე. მიღებულ ყ გრაფემას ეწოდა ბან ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

3. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ღ გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ზედა და ქვედა პორიზონტალური ხაზი, საშუალო ზედა ვერტიკალური ხაზი. მიღებულ ღ გრაფემას ეწოდა გან ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

4. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია Ծ გრაფემის საშუალო ზედა პორიზონტალური ხაზი, პატარა ზედა ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია Ծ გრაფემის დიდი წრე. მიღებულ Ծ გრაფემას ეწოდა დონ ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

5. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ღ გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ზედა პორიზონტალური ხაზი,

საშუალო ზედა ვერტიკალური ხაზი. მიღებულ კ გრაფემას ეწოდა ეს ასონიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

7. Ҫ გრაფემის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ზე გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ზედა ჰორიზონტალური ხაზი. Ҫ გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ზე გრაფემის საშუალო წრე. მიღებულ ზე გრაფემას ეწოდა ზენ ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი საოვალავი და ანბანური სათვალავი.

8. Հ ցրացյեմիս დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწարმოებია և ցրացյեմիს დიდი ვერტიკალური ხაზი. Հ ցրացյեմիს დიდი რკალიდან ნაწարმოებია և ցրացյեմիს საშუალო რკალი. მიღებულ է ցրაցյეմას ეწოდა ჟე ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

10. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ე გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ზედა პორიზონტალური ხაზი. მიღებულ ე გრაფემას ეწოდა ინ ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

11. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ხ გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, პატარა ქვედა ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რეალიდან ნაწარმოებია ხ გრაფემის საშუალო წრე. მიღებულ ხ გრაფემას ეწოდა კან ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი საოვალავი და ანბანური საოვალავი.

12. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ზე გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო ზედა პორიზონტალური ხაზი, საშუალო ზედა ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ზე გრაფემის საშუალო წრე. მიღებულ ზე გრაფემას ეჭოდა ლას ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბაზური სათვალავი.

13. Ը ցրացյմունքը գումարությունը կազմում է 100 մլն դրամ և պահպան կազմում է 10 մլն դրամ:

15. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ც გრაფემის პატარა ზედა ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ც გრაფემის დიდი რკალი. მიღებულ ც გრაფემას ეწოდა იე ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭის რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

16. Ը զրագյեմիս դուք Րյալութան նախարմույթու զ զրագյեմիս դուք Փրկ, პաტարա Րյալու մուշտը զ զրագյեմաւ յիշութան առ ասո-նութեան սակեցութեան մունակյա հոգութան սատցալացու դա անձանչու սատցալացու.

18. Ը ցրացյեմիս դուք Եյցա Ֆորութօնիքալյուրո եանուան նախարարութեած Կ ցրացյեմիս դուք Վերթուգալյուրո եանո, Տա՛շյալու Եյցա Ֆորութօնիքալյուրո եանո. Ը ցրացյեմիս դուք Ռկալուան նախարարութեած Կ ցրացյեմիս Տա՛շյալու Վրե. Թուղյած Վալյու Կ ցրացյեմաս ԵՄՊա յան Ասո-Խո՛մնու Տակելուանը. Թուղյուն Տառապացու և Անձանյուրո Տառապացու.

19. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ტ გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ტ გრაფემის ორი საშუალო რკალი. მიღებულ ტ გრაფემას ეწოდა რაე ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

20. Հ գրացյալու դօքու թեժա քորությոնը ալլազան եածուան եամարմուենա և գրացյալու դօքու զերբույալլազան եածու. Հ գրացյալու դօքու ռկալուան եամարմուենա և գրացյալու սամշալու ռկալո. մուզեպալ և գրացյալու յիշուան եածու-նունու սաելուան եամարմուենա. մունուէս ռուզուու սատցալազու և անձանուան սատցալազո.

21. Հ զրագյեմիս դուდո ՚Եղծ ։ Կորոնօնքներալոյրո եանուան նախարմոյեծոա ը զրագյեմիս դուդո զերթուցալոյրո եանո, սամշալո կշեցա ։ Կորոնքներալոյրո եանո. Հ զրագյեմիս դուդո Ռկալուան նախարմոյեծոա ը զրագյեմիս սամշալո Վրա- մուցեծուլ ը զրագյեմաս յվուա Ծար ասո-նօմնուս սակելուան ։ Մոանօկյես Ռոցուո սատզալազո დա անձանյրո սատզալազո.

22. Ը ցրագյեմուն դուքս Թյագա Ֆորոնթոնցիալյուրո խանութան նախարարութեա գ ցրագյեմուն դուքս Վյուհուկալյուրո խանութան. Ը ցրագյեմուն դուքս Ռյալութան նախարարութեա գ ցրագյեմուն Սամյալու Բյու. Մուջեծյուլ գ ցրագյեմաւ յիշութա զա աստ- նօմնուն սաեւլութեա. մունիքուն Ռուգութա սատզալազու դա անձնայուրո սատզալազու.

23. Ը ցրագյեմիս դուծո թեժա პորոխոնքալուրո եածուծան նախարմոյեծիա Փ ցրագյեմիս դուծո զյշտիկալուրո եածո. Ը ցրագյեմիս դուծո րկալուծան նախարմոյեծիա Փ ցրագյեմիս սամցալու վրա. մուղեծուլ Փ ցրագյեմաս յիշուծա յար աշռ-նոխոնիս սաեցլուցիւ. մունուկիս հոգուտո սառցալացու դա անծանչուրո սառցալացո.

24. ც გრაფების დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოვებია + გრაფების დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო შუა ჰორიზონტალური ხაზი. მიღებულ + გრაფების ექვდა ქან ასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

25. Հ ցրագյեմիս դուք ներկայացնելու համար նախարարությունը կատարում է պահանջված գործությունները՝ առաջարկելով առաջարկագիրը և պահանջման համար պահանջված գործությունները։ Հ ցրագյեմիս դուք ներկայացնելու համար նախարարությունը կատարում է պահանջված գործությունները՝ առաջարկելով առաջարկագիրը և պահանջման համար պահանջված գործությունները։

26. Ը ցրագյեմիս դուք Եղած ձորոխներալյուրո եանուան նախարմոյենա կ ցրագյեմիս դուք զյրէոյալյուրո եանո. Ը ցրագյեմիս դուք Ռյալուան նախարմոյենա կ ցրագյեմիս սամշալո Վրյ. մուզենյուլ կ ցրագյեմաս յԵռաւ յար ասոնիմնուս սաելուանենա. մունուկը Ռուգուո սատզալազո դա անձնայուրո սատզալազո.

27. Ҫ გრაფემის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია 8 გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი. Ҫ გრაფემის დიდი რკალიდან

ნაწარმოებია 8 გრაფემის ორი საშუალო წრე. მიღებულ 8 გრაფემას ეწოდა შინასო-ნიშნის სახელდება. მიანიჭეს რიგითი საოვალავი და ანბანური საოვალავი.

31. Հ ցրագյեմունքը դուքս Պետրոս Առաքելական Եկեղեցի Տաճարութեան համար պահանջման մասին պատճեն է առաջարկութեան մեջ նշված է:

32. ተ ዝግጁ ምዕስ ፍቃድ ጥና የጊዜ መሆኑን አገልግሎት የሚያሳይ ይችላል፡፡

33. Ը ցրագյեմիս դուռը թյած քորոիծոնքի ալյուրո եածութան նախարմուենա լ ցրագյեմիս դուռը զյուրիկալյուրո եածո, սամյալու մյա դա վյացա քորոիծոնքի ալյուրո եածո, սամյալու թյած զյուրիկալյուրո եածո. մուցենյուլ լ ցրագյեմաս յիշութան եած ատու-նինու սաեղալութան. մունուկիս բոցութու սատզալազու դա անձանյուրո սատզալազո.

37. ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზიდან ნაწარმოებია ნიკოლა გრაფემის დიდი ვერტიკალური ხაზი, საშუალო შუა პორიზონტალური ხაზი, საშუალო ქვედა ვერტიკალური ხაზი. ც გრაფემის დიდი რკალიდან ნაწარმოებია ძირი გრაფემის ორი საშუალო წრე. მიღებულ ძირი გრაფემას ეწოდა პორიზონტალური ხაზი სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

წარმოვადგენთ ზოგად დასკვნებს ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობასთან და სახელდებასთან დაკავშირებით:

ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ წყაროს წარმოადგენს ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც-ის დიდი ზედა ჰორიზონტალური

ხაზი (ლურსმული ხაზოვანი ნიშანი) და დიდი რკალი (იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშანი).

ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ლურსმული ხაზოვანი ნიშანია.

ც გრაფემის დიდი რკალი „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშანია.

ასომთავრული ანბანის გრაფემების პორიზონტალური და ვერტიკალური ხაზები „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ლურსმული ხაზოვანი ნიშნიდან ნაწარმოები ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობის ხაზოვანი ნიშნებია.

ასომთავრული ანბანის გრაფემების რკალები და წრეები „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნიდან ნაწარმოები მთვარის და მზის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნებია.

ასომთავრული ანბანის ყოველი ცალკეული ასო-ნიშნის გრაფიკული მოხაზულობა ნაწარმოებია „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ლურსმული ხაზოვანი ნიშნისა და „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის კომბინირებით.

ქართული ასომთავრული ანბანი შუმერული ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობის გამარტივებული განვითარება.

ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული მოხაზულობა ნაწარმოებია ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზისა და დიდი რკალის გრაფიკული მოხაზულობის პრინციპით.

ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული მოხაზულობა ნაწარმოებია შუმერული (ქალდეური) ლურსმული კუთხოვანი ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობის გრაფიკული მოხაზულობის პრინციპით.

ქართული ასომთავრული ანბანის „ან“, „ბან“ და „გან“ ასო-ნიშნების სახელდება ნაწარმოებია შუმერული ღმერთების პანთეონის სამების (ან-ენლილ-ენქი) სახელდების პრინციპით.

„ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთი სამ პიპოსტასიანია („ან“, „ბან“, „გან“).

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი შვიდეული („ან-ზენ“) ანგარიშობს 5604 წლიან ციკლს (შუმერული 5604 წლიანი წელთაღრიცხვის კალენდარული სისტემა).

ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში „ქართული ქორონიკონი“ გამოთვლები მიმდინარეობდა ქართული ასომთავრული ანბანის გამოყენებით, რომელსაც გააჩნდა რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი. სწორედ, მათი მეშვეობით ხორციელდებოდა შუა საუკუნეებში სხვადასხვა ისტორიული და რელიგიური თარიღების ანგარიში (თ. ბაგრატიონი). ქრისტიანულ ქვეყნებში არსებობდა ქორონიკონის სხვადასხვა ვარიანტები (ბიზანტიური, ანტიოქიური, ალექსანდრიული), რომელთაც განსხვავებული ათვლის სისტემები გააჩნდათ. „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ ათვლის 532 წლიან ციკლს ემყარებოდა. ჯერ არ დამდგარიყო ა. წელთაღრიცხვის 780 (781) წელი, როცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ძალაში შევიდა „ქრისტიანული ხუთასიანი ქორონიკონი“ ანუ დიდი ინდიქტიონით წელთაღრიცხვის სისტემა. არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს მოსაზრება, თითქოს „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ სარგებლობა საქართველოში ა. წელთაღრიცხვის 780 (781) წლიდან დაეწყოთ. გამოვთქამთ მოსაზრებას, რომ ახალი წელთაღრიცხვის 780 (781) წელს განხორციელდა „ქართული ხუთასიანი ქორონიკონიდან“ გადასვლა „ქრისტიანულ ხუთასიან ქორონიკონზე“.

ცნობილია, რომ სწორედ ამ დროიდან დაიწყო საქართველოში გავრცელება რომაულმა იულიუსის კალენდარმა. ნიკეის 325 წლის მსოფლიოს საეკლესიო კრების დადგენილებით, უველა ქრისტიანი ერი ვალდებული გახდა მიეღო და ედიარებინა ქორონიკონით ანუ 532 წლიანი ციკლით დიდი ქრისტიანული დღესასწაულების გამოთვლა და ანგარიში. მზის ოცდარვაწლიანი ციკლით ანუ მზის უძრავი წელიწადით იანგარიშებოდა დიდი ქრისტიანული უძრავი დღესასწაულები (იესო ქრისტეს შობა). ხოლო, მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლით ანუ მთვარის მოძრავი წელიწადით იანგარიშებოდა დიდი ქრისტიანული მოძრავი დღესასწაულები (იესო ქრისტეს აღდგომა). მოხდა წარმართული რომაული იულიუსის კალენდარის სისტემაში მოყვანა და მისი შეგუება ქრისტიანულ სარწმუნოებასთან.

ახ. წელთაღრიცხვის 780 (781) წელს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დასრულდა ქორონიკონის მეთორმეტე მოქცევა და დაიწყო მეცამეტე მოქცევა. სწორედ, ამ დროიდან იანგარიშება საქართველოში „ქრისტიანული ხუთასიანი ქორონიკონი“. მაგრამ, სინამდვილეში ქართულ ისტორიულ რეალობაში ჯერ კიდევ წარმართული ეპოქიდან არსებობდა კალენდარული სისტემა, რომელსაც ქართველები იყენებდნენ როგორც „ქართულ ხუთასიან ქორონიკონს“.

ეს ფაქტი დასტურდება თუნდაც იმით, რომ ხუთასოცდათორმეტწლიანი ციკლის გამოთვლა ქრისტიანი მოგვაწების მიერ გაცილებით ადრე ახ. წელთაღრიცხვის 780 (781) წლამდე ხდებოდა ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების რიგითი სათვალავისა და ანბანური სათვალავის გამოყენებით (დავათის სტელა).

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს მოხდა „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ გადასვლა „ქრისტიანულ ხუთასიან ქორონიკონზე“.

მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ბრწყინვალე წარმომადგენელი ვახუშტი ბაგრატიონი (1696-1757 წ.) მიიჩნევდა, რომ „ქართული ქორონიკონი“ წარმართულ ეპოქაში არსებობდა და ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს დასრულდა მეათე და დაიწყო მეთერთმეტე ქორონიკონი ქართული წელთაღრიცხვისა. სწორედ ამ წელიწადს შესრულებულა ფარნავაზ მეფის გამეფებიდან მეცხრამეტე წელი. მაგრამ, რატომდაც ქართულ მეცნიერებაში უნდობლობა გამოუცხადეს ვახუშტი ბაგრატიონის ამ მოსაზრებას.

მკვლევარი ა. ჯაფარიძე წერს: „...284 წელთან დაკავშირებით ვახუშტი წერს: „ამ ფარნავაზის მეფობის ით (19) წელს ქართული ხუთასიანი ქორონიკონი ი-ჯერ (10-ჯერ) მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების“. აქ იგულისხმება 532 წლიანი დიდი ინდიქტიონი, რომლის საფუძველს მზის 28-წლიანი და მთვარის 19-წლიანი ციკლი წარმოადგენს. ის ნიკეის I მსოფლიო საეკლესიო კრებამ დააკანონა. ასე რომ, ვახუშტის მიერ ნახსენები „ქართული ქორონიკონი“ ფარნავაზთან დაკავშირებით ანაქრონიზმია...“ (ჯაფარიძე 1994: 93).

ვერ დავეთანხმებით პატივცემული მკვლევარის ამ მოსაზრებას. ვახუშტი ბაგრატიონი შემთხვევით არაფერს არ დაწერდა. ის რომ დარწმუნებული არ ყოფილიყო თავისი მოსაზრების სიზუსტეში, „ქართული ქორონიკონის“ არსებობას ფარნავაზ მეფის სახელს არ დაუკავშირებდა და ყალბი ინფორმაციის გავრცელებით საკუთარ სახელს და ავტორიტეტს ჩრდილს არ მიაყენებდა შთამომავლობის წინაშე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წიგნში „ქართული ასომთავრული“ თავისი აზრი გამოვქა ცნობილმა ქართველმა მკვლევარმა რ. პატარიძემ. მისი მოსაზრებით: „...თარიღი 284 წელი ძველი წელთაღრიცხვისა სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად იხსენიება ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში „საქართველოს ისტორია“. ვახუშტი ბაგრატიონის ავტოგრაფულ ხელნაწერში,

იქ, სადაც წყდება საუბარი ფარნავაზ მეფის მიერ ერისთავების დადგინების შესახებ და იწყება თხრობა ქართული დამწერლობის შემოღების შესახებ, ხელნაწერი ფურცლის არშიაზე წვრილი ხელით აღნიშნულია შემდეგი: „ამ ფარნაოზის მეფობის ით (19) წელს ქართული ხუთასიანი ქანი ი-ჯერ (10-ჯერ) მობრუნებული განვიდა და მეორობმეტე იწყების“.

როგორც უკვე ცნობილია, ძვ. წ. 284 წელს, მართლაც, დასრულდა 10(ი) 532-წლიანი მოქცევა (ქორონიკონი) ქართული დასაბამითგან და მე-11 532-წლიანი ციკლი დაიწყო; ამავე დროს, თუ ფარნავაზის გამეფების თარიღად ძვ. წ. 303 წელი მივიჩნიეთ, 19 წლის შემდეგ მართლაც მე-10 მოქცევა დასრულდა და მე-11 დაიწყო – 284 წელს ძველი წელთაღრიცხვით...

...თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ვახუშტი მეისტორიე ჩვენი პსწერს ფარნავაზის მოთხრობაში ერისთავთ ფარნავაზის მიერ დადგინების ბოლოს: „ამ ფარნავაზის მეფობის მეათცხრამეტესა წელსა ქართულიანი ხუთასიანი ქორონიკონი ათჯერ მობრუნებული განვიდო და ამის შემდგომად მეათერთმეტე მოქცევამან იწყოვო“ და სხვანიცა ქართველთა მომთხრობელნი ემოწმებიან ამას; მაშასადამე, ქართული ქორონიკონი ფარნაოზის დროსვე ყოფილა და ამ რიცხვიდამ ქრისტეს შობის ოცხვამდე უცდომელად მოდიან ქართულნი წელთა აღრიცხვანი“.

თეიმურაზ ბატონიშვილის ამ უკანასკნელ კონტექსტს შესაძლოა კორექტივი არც სჭირდებოდეს, რადგან, თუმცა „ქართული ქორონიკონი“ ფარნავაზის დროს ანაქრონიზმია, იქნებ სახელოვანი მეცნიერი აქ ზოგადად ქართული წელთაღრიცხვის დასაბამს გულისხმობდეს, რომელიც გვიან ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვის დასაბამიც გახდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბაგრატიონისა და თეიმურაზ ბატონშვილის ქრონოლოგიურ ცნობებს ისტორიკოსმა არჩილ ბარამიძემ მიაქცია ყურადღება. მანვე ცხადყო ამ ცნობების მეცნიერული ღირებულება...“ (პატარიძე 305-306: 1980).

ვერ დავეთანხმებით სახელოვან მკვლევარს თავის კრიტიკულ შეფასებაში „ქართული ქორონიკონის“ არსებობის დროის შესახებ ფარნავაზ მეფესთან დაკავშირებით. „ქართულ ქორონიკონს“ რეალურად რომ არ ეარსება ფარნავაზ მეფის დროს და ამაში სრულიად დარწმუნებული არ ყოფილიყვნენ ორი სხვადასხვა ეპოქის სახელოვანი ქართველი მოღვაწეები: ვახუშტი ბაგრატიონი და თეიმურაზ ბაგრატიონი, მათი მოსაზრებები ასე ზედმიწევნით არ დაემთხვეოდა ერთმანეთს „ქართული ქორონიკონის“ არსებობის დროის შესახებ. თანაც, თ. ბატონიშვილის აზრით „...სხვანიცა ქართველთა მომთხრობელნი ემოწმებიან ამას...“. ანუ უკვე წარმართულ ეპოქაში არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც გააჩნდათ ინფორმაცია „ქართული ქორონიკონის“ არსებობის შესახებ. ეს ცოდნა უთუოდ ქართველ ქურუმთა ვიწრო წრეში არსებობდა, რომელთაც შექმნეს ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ქართველ ქურუმთა წრეში გამოიყენებოდა როგორც „ქართული ქორონიკონი“, რომლითაც ანგარიშობდნენ მზის ოცდარვაწლიან ციკლს (მზის უძრავი წელიწადი) და მთვარის ცხრამეტწლიან ციკლს (მთვარის მოძრავი წელიწადი). ამ შემთხვევაში ქართველი ქურუმების მიზანს ასტრონომიულად და მათემატიკურად უზუსტესი კალენდარული სისტემის ჩამოყალიბება კი არ წარმოადგენდა, არამედ მათი მიზანი „ქართული ქორონიკონის“ ანუ 532 წლიან ციკლზე გათვლილი კალენდარული სისტემის შექმნა იყო, რომელიც მზის ოცდარვაწლიან და მთვარის ცხრამეტწლიან ციკლებს ითვალისწინებდა. უძველეს დროში ეს საიდუმლო ინფორმაცია იყო, რომლის ცოდნაზეც მხოლოდ ქართველ ქურუმთა ვიწრო წრეში მიუწვდებოდათ ხელი. ხოლო, ფარნავაზ მეფის დროს ეს

ინფორმაცია საჯარო გახდა. ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა ოფიციალურად დაიმკვიდრა თავი, როგორც დამწერლობითმა სისტემამ, რომლის გამოყენებაც ყოფით საკითხებშიც გახდა შესაძლებელი. ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა სახელმწიფო სტატუსი შეიძინა. მაგრამ, ქართული ასომთავრული ანბანი, როგორც „ქართული ქორონიკონი“ ანუ 532 წლიან ციკლზე გათვლილი კალენდარული სისტემა, ფარნაგაზის მეფობამდე ყველაზე ნაკლები ხუთასი წლით ადრე მაინც იყო შექმნილი.

ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტს გულისხმობენ ვახუშტი ბაგრატიონი და თეიმურაზ ბაგრატიონი, როცა აღნიშნავენ რომ: „ამ ფარნაოზის მეფობის ით (19) წელს ქართული ხუთასიანი ქანი ი-ჯერ (10-ჯერ) მობრუნებული განვიდა და მეთერთმეტე იწყების“. ფარნაგაზის მეფობის მეცხრამეტე წელიწადს „ქართულმა ქორონიკონმა“ ანუ ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა თავისი შექმნის თარიღიდან 532 წლიანი ციკლი დაასრულდა. თუ მეათე ქორონიკონის დასასრულ თარიღს ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს დაგუმატებთ 532 წელს მივიღებთ ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს, რომელიც ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქართული ასომთავრული ანბანის ანუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ შექმნის თარიღს.

ლეგენდარული ქართველი მკვლევარის რ. პატარიძის აზრით, ქართული ასომთავრული ანბანი წარმოადგენს ანბან-კალენდარს, რომელშიც დასტურდება 19 წლიანი მეტონის ტოლობის ციკლი და ეს სისტემა გათვლილია მზის უძრავი წელიწადის 128 წლიან ციკლზე.

მკვლევარი თავის წიგნში „ქართული ასომთავრულის“ დასკვნით ნაწილში გვთავაზობს საანგარიშო სქემას, სადაც თავმოყრილია ის ძირითადი დასკვნები და დებულებები, რომელიც ეხება პატივცემული მეცნიერის მიერ აღმოჩენილ ქართულ ანბან-კალენდარს ანუ მზის უძრავი წელიწადის 128 წლიან ციკლზე გათვლილ მზის და მთვარის კალენდარულ სისტემას.

ვრცლად მოვიყვანთ პატივცემული მკვლევარის მიერ წარმოდგენილ საანგარიშო სქემას: „...ქართული ანბანური დამწერლობა ძვ. წ. 412 წელს შეიქმნა; სრულიად ქართული სახელმწიფო დამწერლობა შემოღებულ იქნა ძვ. წ. 284 წელს. მზის კალენდარული ეპოქა საქართველოში ძვ. წ. 412 წელს დაიწყო; ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა შემოღებული იქმნა ძვ. წ. 284 წელს.“

რაც შეეხება ქართულ წარმართულ კალენდარს, მისი ზოგადი სქემა ასეთია:

1. ან-ი
7. ზენ-ი
12. ლას-ი. 30
13. მან-ი
19. რაე
24. ქან-ი
28. ჩინ-ი
29. ცან-ი
30. ძილ-ი
31. წილ-ი. 4
35. ჯან-ი

ანბანის პირველი ასო-ნიშანი შვიდეული დღისა – მსგეფსისა, ანუ კვირის პირველი კალენდარული დღე-დამეა; დღე-დამის 24 საათის პირველი სათია; დღე-დამის დასაწყისად მიჩნეულია შუაღამე – სავსე მთვარის ზედა კულმინაცია; მსგეფსისა ანუ კვირის პირველი დღე-დამე მთვარის დღეა. ანბანის პირველი შვიდი ასო-ნიშანი (ან-ზენ) კალენდარული შვიდეული დღე-დამეა – ერთი მსგეფსია. ქართული წარმართული კალენდარით ერთი კვირის

ხანგრძლივობა შვიდი დღე-დამეა. ანბანის 12 ასო-ნიშანი (ან-ლას) წელიწადის 12 თვეა. წელიწადის დასაწყისად მიჩნეულია გაზაფხულის ბუნიობა, ანუ მზის შესვლა ვერძის ზოდიაქოში; წელიწადი „ლასის“ ანუ თევზის ზოდიაქოში მთავრდება; „ლასით“ მზის წელიწადის ყოველი თვე 30 დღე-დამეა, ხოლო მზის წელიწადის 12 თვე $12 \times 30 = 360$ დღე-დამეა. ანბანის 13 ასო-ნიშანი (ან-მახ) მთვარის ნაკიანი წელიწადის 13 თვეა. ანბანის 19 ასო-ნიშანი (ან-რაე) მზის 19 კალენდარული წელიწადია; მზის 19 კალენდარული წელიწადი 12 უნაკო მთვარის წელიწადისა და 7 ნაკიანი მთვარის წელიწადის ჯამის ტოლია. $19 = 12 + 7$ მზისა და მთვარის 19-წლიანი კალენდარული ტოლობის მეტონის ციკლია. ანბანის 24 ასო-ნიშანი (ან-ქან) დღე-დამის 24 საათია. ანბანის 28 ასო-ნიშანი (ან-ჩინ) ოთხი შვიდეული დღე-დამე, ანუ ოთხი მსგაფსია და მთვარის სიდერული თვეა. ანბანის 29 ასო-ნიშანი (ან-ცან) მთვარის სინოდური თვის 29 დღე-დამეა, 29-დღიანი მთვარის სინოდური თვეა.

ანბანის 30 ასო-ნიშანი (ან-ძიღ) მზის წელიწადის კალენდარული თვეა და 30-დღიანი მთვარის სინოდური თვეა. „წილი“ ნაკიანი წელიწადის ერთი დღე-დამეა: ოთხი წილი ერთი 31-ე დღე-დამეა; „წილი“-ს კალენდარული ფორმულით: $3+1=4$ ყოველ ოთხწლეულში სამი წელიწადი უნაკო, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადი ნაკიანია: „წილი“ ერთ შემთხვევაში ყოველ ოთხწლეულში ერთ ნაკიან წელიწადს ანგარიშობს; მეორე შემთხვევაში „წილი“ 31 ნაკიან წელიწადს ანგარიშობს, ხოლო 31 ოთხწლეულის შემდგომ 32-ე ოთხწლეული უნაკო იქნება. ამიტომ „წილის“ კალენდარული ფორმულაა: $(31 \times 4) + 4$, ე. ი. $124 + 4 + 128$ წელიწადი. 124 წელიწადში „წილი“ 31 ნაკიან წელიწადს ანგარიშობს, 124 წლის შემდგომ ოთხწლეული უნაკო იქნება. „წილი“-ს ეს კალენდარული ფორმულა „დონ“ - ასო-ნიშნის მეშვეობით ხორციელდება: 31 წილი 4×4 დონ
— 124+4 124-წლიან საიდუმლოს „დონ“-ის დაფარული რიცხვითი მნიშვნელობა აცხადებს: $4+4+6=4+70+50=124$.

კალენდარული ქართული ასომთავრული ანბანის 35 ასო-ნიშანი 30 კალენდარული დღე-დამისა და 5 კალენდარული დღე-დამის ტოლია: $35 = 30 + 5$ ანბანის 30 ასო-ნიშანი (ან-ძიღ) წელიწადის ერთი თვე „ლასის“ მეშვეობით 12-ჯერ იანგარიშება $12 \times 30 = 360$. ანბანის უკანასკნელი ხუთი ასო-ნიშანი (წილ-ჯან) – ხუთი კალენდარული დღე-დამე, ე. წ. ხუთი ეპაგომენია, რომელიც შემოდგომის დღე-დამ სწორების წინ 360 კალენდარულ დღე-დამეს ემატება: $360 + 5 = 365$, რის შედეგად უნაკო წელიწადის ხანგრძლივობას ვდებულობთ. ნაკიან წელიწადს 365 კალენდარულ დღე-დამეს „წილის“ ერთი კალენდარული დღე-დამე ემატება: $365 + 1 = 366$, „წილის“ მეშვეობით ოთხწლეულში წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა 365 დღე-დამე და 6 საათი იქნება. რაკი ყოველ 128-ე წელიწადს „წილი“ ნაკიანი წელიწადის ერთ დღე-დამეს აღარ ანგარიშობს, ე. ი. $128 - 1$ წელიწადი რაკი უნაკო იქნება, შედეგად ამისა ყოველ 128-წლიან პერიოდში წელიწადის საშუალო ხანგრძლივობა 365 დღე-დამე, 5 საათი, 48 წუთი და 45 წამი იქნება...“ (პატარიძე 523-526: 1980).

ჩვენი აზრით, გენიალური ქართველი მეცნიერის რ. პატარიძის დიდებული აღმოჩენა (ქართული ასომთავრული ანბანი მზის უძრავი წელიწადის კალენდარული სისტემა) წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებას იმ ახალი ჰიპოთეზის დასაბუთების საკითხში, რომლის თანახმადაც ქართული ასომთავრული ანბანი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონია“ (ვ. ბაგრატიონი, თ. ბაგრატიონი).

წინამდებარე ნაშრომში, ჩვენ ხშირად ვიყენებთ პატივცემული მკვლევარის რ. პატარიძის მოსაზრებებსა და მიგნებებს, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ ამ დიდებულ ქართველ მეცნიერს.

გვინდა ადგნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილი ზოგიერთი მოსაზრება განსხვავდება პატივცემული მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებებისგან.

აი, ეს მოსაზრებები: 1. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული წყაროს წარმოადგენს ფინიკიური დამწერლობა (ამ მოსაზრებას იზიარებდა აკად. ივ. ჯავახიშვილი). 2. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ფარნავაზ მეფესთან დაკავშირებით „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ არსებობის შესახებ ანაქრონიზმია. 3. ქართულ ასომთავრულ ანბანში გამოყენებულია ცხრამეტწლიანი მეტონის ტოლობის ციკლი (ამ მოსაზრებას იზიარებს მკვლევარი რ. გვეტაძე). 4. ქართულ ასომთავრულ ანბანში გამოყენებულია მზის უძრავი წელიწადის 128 წლიანი ციკლი. 5. მთვარის კალენდარული სისტემაზე (მზის უძრავი წელიწადი) გადასვლა და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნა განხორციელდა ძვ. წელთაღრიცხვის 412 წელს.

ამ მოსაზრებათა საპასუხოდ წარმოვადგენთ ჩვენს ალტერნატიულ მოსაზრებებს:

1. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული წყაროა ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემის ၂-ის გრაფიკული ელემენტები დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი, რომლებიც შუმერული ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი და იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობიდან ქართულ დამწერლობაში შემოტანილი გრაფიკული ნიშნებია. ქართული დამწერლობის წარმოშობის საფეხურებია 1. შუმერული იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობა. 2. შუმერული ხაზოვან-მარცვლოვანი (კუთხოვანი) დამწერლობა. 3. ქართული მრგვლოვანი ანბანური (ასომთავრული) დამწერლობა (თ. ბაგრატიონი).

2. ფარნავაზის მეფობის მეცხრამეტე წელიწადის გამოთვლა (ძვ. წელთაღრიცხვის 284 წ.) როცა დასრულდა „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეათე და დაიწყო მეთერთმეტე მოქცევა მოხდა ქართული ასოთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნებისა და სახელდების, რიგითი სათვალავისა და ანბანური სათვალავის გამოყენებით. სწორედ ამ ფაქტს უნდა გულისხმობდეს ვახუშტი ბაგრატიონი, როცა კომენტარს უკეთებს ფარნავაზის მეფობიდან მეცხრამეტე წელიწადის გასვლას და ამ მოვლენას „ქართულ ხუთასიან ქორონიკონს“ უკავშირებს. ამ ფაქტს სრულიად ეთანხმება თ. ბატონიშვილი.

3. ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის პროცესი რამოდენიმე საუკუნით ადრე განხორციელდა, ვიდრე ბერძენი მათემატიკოსი მეტონი, რომელსაც მზის და მთვარის 19 წლიანი ტოლობის ციკლის შემოდებას მიაწერენ დაიბადებოდა (რ. პატარიძე). ქართულ ასომთავრულ ანბანში გამოყენებულია არა მზის და მთვარის 19 წლიანი ტოლობის მეტონის ციკლი, არამედ, მზის ოცდარვაწლიანი ციკლი და მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლი.

4. ქართული მზის უძრავი წელიწადის 128 წლიანი ციკლი, რომელსაც ქართული ასომთავრული ანბანის „დონ“ (ქართული მზის ღმერთი) და „წილ“ (შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთი) ანგარიშობენ (რ. პატარიძე) ბუნებაში არ არსებობს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დასტურდება ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნებითა და სახელდებით, რიგითი სათვალავითა და ანბანური სათვალავით წარმოდგენილი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ (ვ. ბაგრატიონი და თ. ბატონიშვილი). ამ ფაქტს ადასტურებს დავათის სტელაზე გამოსახული ქართული ასომთავრული ანბანის ოცდაჩვიდმეტი ასო-ნიშანი, რომელთაგან სამი ასო-ნიშანი ქ. ტ და ჭ დაქარაგმებულია, რომლითაც ხდება „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“

თარიღის ძვ. წელთაღრიცხვის 284 წლის („ქართული ქორონიკონის“ მეათე მოქცევის დასასრული და მეთერთმეტე მოქცევის დასაწყისი) გამოთვლა. ქართული ქორონიკონული ასო-ნიშნების ჯ-ს, ტ-ს და ჭ-ს ანბანური სათვალავი შეადგენს 5320 წელს (რ. რამიშვილი). ეს ფაქტი ადასტურებს მოსაზრებას, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების გარიურავზე (ახ. წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნე) იცოდნენ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი წარმოადგენდა „ქართული ხუთასიან ქორონიკონს“

5. მთვარის კალენდარული სისტემიდან (მთვარის წელიწადი) მზის კალენდარულ სისტემაზე (მზის უძრავი წელიწადი) გადასვლა და ქართული ასომთავრული ანბანის შექმნა ძვ. წელთაღრიცხვის 412 წელს ვერ მოხდებოდა. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა ქართულ ისტორიოგრაფიაში 400 (ოთხასი) წლით ადრე, ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს განხორციელდა. თუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეათე მოქცევის დასასრულ თარიღს ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს დავუმატებოთ 532 წელს, მივიღებთ ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ანუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეცხრე მოქცევის დასასრულ და მეათე მოქცევის დასაწყისი თარიღს.

ვფიქროთ, რომ სწორედ ამ ფაქტს გულისხმობს ვახუშტი ბაგრატიონი, როცა 532 წლიანი ქორონიკონის მეათე მოქცევის დასასრულ და მეთერთმეტე მოქცევის დასაწყის თარიღზე ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელთან დაკავშირებით საუბრობს თავის ავტოგრაფულ ხელნაწერში (ვ. ბაგრატიონი „საქართველოს ისტორია“). ძვ. წელთაღრიცხვის 284 წლიდან, როცა შესრულდა ფარნავაზის მეფობის მეცხრამეტე წელი და დასრულდა „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეათე და დაიწყო მეთერთმეტე მოქცევა, საანგარიშოა ორი ამოსავალი თარიღი: ძვ. წელთაღრიცხვის 5604 წელი და ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი ანუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეცხრე მოქცევის დასასრული და მეათე მოქცევის დასაწყისი თარიღები. ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს სწორედ ძვ. წელთაღრიცხვის 5604 წლიდან „მობრუნებული განვიდა“ (ვ. ბაგრატიონი) „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეათე და დაიწყო მეთერთმეტე მოქცევა და ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს „მობრუნებული განვიდა“ (ვ. ბაგრატიონი) მეცხრე და დაიწყო მეათე ქორონიკონი. ამიტომაც, „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ მეცხრე მოქცევის დასასრული და მეათე მოქცევის დასაწყისი თარიღი ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი ჩვენი აზრით, წარმოადგენს ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნებისა და სახელდების, რიგითი სათვალავისა და ანბანური სათვალავის ანუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ შექმნის თარიღს.

გამოვთქვამო მოსაზრებას, რომ ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართულ ისტორიოგრაფიაში განხორციელდა მთვარის კალენდარული სისტემიდან (მთვარის წელიწადი) მზის კალენდარულ სისტემაზე (მზის უძრავი წელიწადი რ. პატარიძე) გადასვლა. იგივე ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი უნდა წარმოადგენდეს ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის (ქართული წარმართული წელთაღრიცხვა) დასაბამ თარიღს.

ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება, ქართული ასომთავრული ანბანის ანუ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს შექმნასთან დაკავშირებით სრულ თანხმობაშია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებასთან ქართული ასომთავრული ანბანის შექმნის თარიღთან დაკავშირებით.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით: „...ჯერხანად ცნობილი VI საუკუნე ქართული დამწერლობის ძეგლები ისეთი მაღალხარისხის ხევანი კალიგრაფიული განვითარების საფეხურს წარმოადგენენ, რომ ქართული ანბანის დასაწყისი

სანა სულ ცოტა 7-8 საუკუნით უწინარეს არის საგულისხმებელი. მეორე მხრით, ქლი ანბანის ასოთა ოიგობითი მიმდევნოება ფინიკიურ-სემური ანბანისას მშვენიერად იცავს, რაც აგრეთვე მისი საძველის მომასწავებელია: ფინიკიურ-სემური ანბანის უძველესი მოხაზულობის მსგავსად, ქართულ ბევრ ასოს პირი მარცხნივ აქვთ მობრუნებული და, დასასრულ, ასო „ბ“-ანის ქართული თავშეკრული მოხაზულობა შესაძლებელია მხოლოდ ფინიკიულთა, ებრაელთა და არამეტაგან ყოფილიყო შეთვისებული VII ს-ზე არა უგვიანეს ქ. წ., როდესაც თვით არამეტნიც ჯერ კიდევ თავშეკრულ „ბ“-ს ხმარობდნენ და როცა ქლი ტომები ტუბალ-მოსოხებიც აზიაში ცხოვრობდნენ და ფინიკიულებთან ადებმიცემობა ჰქონდათ... სანამ ქლი დამწერლობის VI ს-ზე უწინარესი ძეგლები აღმოჩნდება ჩემი ნათქვამი ქლი ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ პიპორეზად მიმაჩნია, რომლის სიმართლეს მომავალი გამოარკვევს. ვფიქრობ მხოლოდ, რომ ეხლა მაინც სამუდამოდ უგუგდებული უნდა იყოს აზრი ქლი ანბანის V ს-ში გამოგონების შესახებ ქ. შ. და უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქლი დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ...“ (ჯავახიშვილი 1949: 235-236).

გამოვთქვამთ მოხაზრებას, რომ სწორედ მცირე აზიაში მცხოვრებმა ქართველმა ტომებმა ტუბალებმა (თუბალები), არა უმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის VII-VIII საუკუნეებისა (ივ. ჯავახიშვილი), უფრო ზუსტად, კი ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს შექმნეს „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ ანუ ქართული ასომთავრული ანბანი თავისი გრაფიკული ნიშნებითა და სახელდებით, რიგითი სათვალავითა და ანბანური სათვალავით.

ცნობილია, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანს გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ფილოლოგი ზ. ქაფიანიძე მიიჩნევდა როგორც 5604 წლიანი ციკლის კალენდარულ სისტემად (ზ. ქაფიანიძე). მაგრამ, მის მიერ ქართული ანბანის შექმნის თარიღი (ძვ. წელთაღრიცხვის 5604 წელი) როგორც მეცნიერებაშია აღიარებული, არარეალურ მონაცემებს ემყარებოდა.

მაგრამ, ის ფაქტიც ცნობილია, რომ მცირე აზიაში მცხოვრები ქართველი ტომები ტუბალები (ივ. ჯავახიშვილი) მართლაც ფლობდნენ შუმერებისგან შეთვისებულ იდეოგრაფიულ, ხატოვან დამწერლობას და მის გამარტივებულ განვითარებას ლურსმულ ხაზოვან-მარცვლოვან დამწერლობას (ს. ჯანაშია). ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია რომ ქართველმა ტომებმა ამ დამწერლობითი სისტემების საფუძველზე შექმნეს სრულიად ახალი ანბანური დამწერლობითი სისტემა ანუ ქართული მრგვლოვანი ანბანური (ასომთავრული) დამწერლობა, რომელიც გათვლილი იყო 532 წლიან ციკლზე ანუ შეიცავდა მზის ოცდარვაწლიან და მთვარის ცხრამეტწლიან ციკლებს. ეს ცოდნაც ქართველ ტომებს შუმერებისგან (ქალდეველები თ. ბაგრატიონი) უნდა ჰქონდათ შეთვისებული, რომელთაც გააჩნდათ 5604 წლიანი წელთაღრიცხვის კალენდარული სისტემა და ისინი ძვ. წელთაღრიცხვის III-IV ათასწლეულებში უკვე ფლობდნენ ცოდნას მზის ოცდარვაწლიანი ციკლისა და მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლის არსებობის შესახებ.

გვინდა წარმოვადგინოთ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ ანუ ქართული ასომთავრული ანბანი თავისი გრაფიკული ნიშნებითა და სახელდებით, რიგითი სათვალავითა და ანბანური სათვალავით:

1. ც – ან – 1
2. ჭ – ბან – 2
3. ე – გან – 3
4. ტ – დონ – 4
5. ე – ქნ – 5
6. ე – გინ – 6

7. ҆ – ხენ – 7
8. հ – პე – 8
9. Շ – տան – 9
10. Ղ – օն – 10
11. Ծ – ձան – 20
12. Ռ – լաս – 30
13. Ճ – ման – 40
14. Բ – նառ – 50
15. Ծ – ոյ – 60
16. Զ – տն – 70
17. Ռ – პառ – 80
18. Պ – պան – 90
19. Ժ – ռայ – 100
20. Ե – ևան – 200
21. Բ – բառ – 300
22. Շ – զը – 400
23. Փ – պառ – 500
24. + – յան – 600
25. Ո – դան – 700
26. Պ – պառ – 800
27. Ց – թին – 900
28. Ւ – ჩին – 1000
29. Ը – ցան – 2000
30. Ժ – մաղ – 3000
31. Բ – վոլ – 4000
32. Տ – քառ – 5000
33. Ե – եան – 6000
34. Կ – եառ – 7000
35. Խ – չան – 8000
36. Ռ – քայ – 9000
37. Շ – քոյ – 10000

Այս Քարմոցաճցենտ „ქարտუլու ხუտաևանո ქորոնուշոնէ“ անյ ქարտუլու ասոմთაგრւլու անბանէն բոցուու სատցալացուու დա անბանյուրու սատցալացուու նաանցարուშիք մზն ուլուարցաթլուանո (մზն ուլուարցուու շնակու դա շցուու նագուանո վելութիւնո) ცոկլու սաանցարուშու ևյաման:

1. „Համար“ (12) անցարութուն մზն տորմեր շնակու վելութիւնո (Թ. პաტարուից).
2. „Տան“ (9) անցարութուն մზն ցերա շնակու վելութիւնո (Թ. პաტարուից).
3. „Խեն“ (7) անցարութուն մზն շցուու նագուանո վելութիւնո.
4. „Բառ“ (21) անցարութուն մზն ուլուարցու շնակու վելութիւնո.
5. „Դოն“ (4X7) անցարութուն մზն ուլուարցաթլուան ցոկլու (մზն շմրազո վելութիւնո) (Թ. პաტարուից).
6. „Վոլ“ (ոլ) (4X7) անցարութուն մზն ուլուարցու շնակու դա շցուու նագուանո վելութիւնո (մზն ուլուարցաթլուան ցոկլու) (Թ. პաტարուից).
7. „Համար“ (12) մზն տորմերու շնակու վելութիւնո, „Տան“ (9) մზն ցերա շնակու վելութիւնո դա „Վոլ“ (ոլ) (4X7) մზն ուլուարցու շնակու դա շցուու նագուանո վելութիւնո անցարութուն մზն ուլուարցաթլուան ցոկլու (մზն շմրազո վելութիւնո) (Թ. პաტարուից).

Քարմոցաճցենտ „ქարտუլու ხუտաևանո ქորոնուշոնէ“ անյ ქարտუլու ասոմთագրւլու անბանէն բոցուու սատցալացուու դա անբանյուրու սատցալացուու նաանցարուშիք մտցարու ցերամեր վելուանո (մտցարու տորմերու շնակու դա շցուու նագուանո վելութիւնո) ცոկլու սաանցարութու ևյաման:

1. „Համար“ (12) անցարութուն մտցարու տորմեր շնակու վելութիւնո (Թ. პաტարուից).
2. „Ման“ (13) անցարութուն մտցարու մեցամեր նագուանո վելութիւնո (Թ. პաტարուից).

3. „ზენ“ (7) ანგარიშობს მთვარის შვიდ ნაკიან წელიწადს.
4. ძილ და წილ (ილ) (3X4) და (3+4) ანგარიშობს მთვარის თორმეტ უნაკო და შვიდ ნაკიან წელიწადს (მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლი) (რ. პატარიძე).
5. „ლაპ“ (12) მთვარის თორმეტი უნაკო წელიწადი, „მან“ (13) მთვარის მეცამეტე ნაკიანი წელიწადი და „ძილ“ და „წილ“ (ილ) (3X4) და (3+4) მთვარის თორმეტი უნაკო და შვიდი ნაკიანი წელიწადი ანგარიშობს მთვარის ცხრამეტწლიან ციკლს (მთვარის მოძრავი წელიწადი) (რ. პატარიძე).
6. „რაქ“ (19) მზის ცხრამეტი წელიწადი და „თან“ (9) მზის ცხრა წელიწადი ანგარიშობს მთვარის კვირეებით ნაანგარიშებ მზის ოცდარვაწლიან ციკლს (მზის უძრავი წელიწადი) (რ. პატარიძე).
7. „წილ“ (ილ) (4X7) და „ძილ“ და „წილ“ (ილ) (3X4) და (3+4) ანგარიშობს მზის და მთვარის ხუთასოცდათორმეტიან ციკლს (რ. პატარიძე).

გვინდა წარმოვადგინოთ წინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები დასკვნების სახით:

ც გრაფემის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი ნაწარმოებია „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის გამარტივებული ლურსმული ხაზოვანი ნიშნისა (დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი) და „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის (დიდი რკალი) კომბინირებით. მიღებულ ც გრაფემას ეწოდა „ან“ (ილ) შუმერული ცის ღმერთის („ან“ ასო-ნიშანი) სახელდება. მიანიჭეს რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი.

ქართული ასომთავრული დამწერლობის გრაფიკულ წყაროს წარმოადგენს ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის ც-ის დიდი ზედა პორიზონტალური ხაზი (ლურსმული ხაზოვანი ნიშანი) და დიდი რკალი (იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშანი).

„წილ“ (ილ) (4X7) ანგარიშობს მზის ოცდაერთ უნაკო და შვიდ ნაკიან წელიწადს (მზის ოცდარვაწლიანი ციკლი) (რ. პატარიძე).

„ძილ“ და „წილ“ (ილ) (3X4) და (3+4) ანგარიშობს მთვარის თორმეტ უნაკო და შვიდ ნაკიან წელიწადს (მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლი) (რ. პატარიძე).

„წილ“ (ილ) (4X7) და „ძილ“ და „წილ“ (ილ) (3X4) და (3+4) ანგარიშობს მზის და მთვარის ხუთასოცდათორმეტიან ციკლს (რ. პატარიძე).

ქართული ასომთავრული ანბანი რომ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონია“ დასტურდება „წილ“ (ილ) (მზის ოცდარვაწლიავი ციკლი) და „ძილ“ და „წილ“ (ილ) (მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლი) ასო-ნიშნებით წარმოდგენილი „ან“ (ილ) ბაბილონური (შუმერული) მთვარის (ცის) ღმერთით.

„ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ დასაბამი თარიღია არაუმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი (ვ. ბაგრატიონი).

ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამი თარიღია არაუმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი.

ქართული წარმართული მზის უძრავი წელიწადის (რ. პატარიძე) დასაბამი თარიღია არაუმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი.

ქართული წარმართული მთვარის წელიწადის კალენდარული სისტემიდან ქართული წარმართული მზის უძრავი წელიწადის (რ. პატარიძე) კალენდარულ სისტემაზე გადასვლა განხორციელდა არაუმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.

ქართული დამწერლობის წარმოშობის საფეხურებია 1. შუმერული იდეოგრაფიული, ხატოვანი დამწერლობა. 2. შუმერული ხაზოვან-მარცვლოვანი (კუთხოვანი) დამწერლობა. 3. ქართული მრგვლოვანი ანბანური (ასომთავრული) დამწერლობა. 4. ქართული კუთხოვანი (ნუსხური) დამწერლობა. 5. ქართული მრგვლოვანი (მხედრული) დამწერლობა (თ. ბაგრატიონი).

ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამი ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი დაედო საფუძვლად ქართული სახელმწიფოებრიობის გამოცხადებას ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს (ვ. ბაგრატიონი).

„ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ შექმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს დაედო საფუძვლად ქართული ენის (ქართული ასომთავრული ანბანი) სახელმწიფო ენად გამოცხადებას ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს (ვ. ბაგრატიონი).

„ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ (ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი) გადასვლა „ქრისტიანულ ხუთასიან ქორონიკონზე“ განხორციელდა ახალი წელთაღრიცხვის 780 (781) წელს.

ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს შექმნილი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ასომთავრული ანბანი) დაედო საფუძვლად „ქრისტიანულ ხუთასიან ქორონიკონის“ (დიდი ინდიქტიონი) წარმოშობას ას. წელთაღრიცხვის 780 (781) წელს.

ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს შექმნილი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ასომთავრული ანბანი) დაედო საფუძვლად ქრისტიანული „დასაბამითგანის“ წარმოშობას.

ქართული ასომთავრული ანბანის „ან“, „ილ“ და „არ“ მარცვლებით წარმოდგენილი „სინ“ ბაბილონური (შუმერული) მთვარის ღმერთის კულტი (რ. პატარიძე), იგივე ქართული წარმართული პანთეონის მთავარი ღვთაების – მთვარის კულტია (თეთრი გიორგის კულტი).

ქართული წარმართული მთვარის კულტი (თეთრი გიორგის კულტი) დაედო საფუძვლად არმაზის კულტის წარმოშობას (ფარნავაზი).

ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი (იდეოგრაფიული, ხატოვანი) დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა ქართული ასომთავრული ანბანური დამწერლობა (თ. ბაგრატიონი) ისევე, როგორც ძველსპარსული და უგარიტული ანბანური დამწერლობა. აქედან დასკვნა, არსებობს დამწერლობითი სისტემები რომლებიც ანბანურ დამწერლობად ჩამოყალიბდნენ ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი (იდეოგრაფიული, ხატოვანი) დამწერლობის საფუძველზე ფინიკიურ და ბერძნულ ანბანურ დამწერლობათა გამოყენების გარეშე.

ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი სათვალავი და ანბანური სათვალავი, როგორც „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ შეიქმნა არაუმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს მცირე აზიაში (ი. ჯავახიშვილი), ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი (იდეოგრაფიული, ხატოვანი) დამწერლობის საფუძველზე.

საბოლოოდ, ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები პირველიდად წინამდებარე ნაშრომშია წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე 1990:
 2. მაჭავარიანი 1982:
 3. პატარიძე 1980:
 4. ქაფიაშვილი 1992:
 5. ჯავახიშვილი 1949:
- გამყრელიძე თ., წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1990
მაჭავარიანი ე., ქართული ანბანის გეაფიკული საფუძვლები, თბ., 1982
პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980
ქაფიაშვილი ი., ძველი ქართული ლიტერატურა, თბ., 1992
ჯავახიშვილი ი., ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949

6. ჯაფარიძე 1994:

ჯაფარიძე ა., ქართველთა წინაპრების ბიბლიური
ისტორია ადამიდან იესომდე, თბ., 1994